

სკოპინგის დასკვნა N49

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ფერო ელოის ფროდაქშენ“ (ს/კ 216302150);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 07.07.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „სამნი+“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქ. რუსთავში, ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განცხადება.

შპს „ნიკა 2004“-ზე 2010 წლის 22 ივლისს ფეროშენადნობების წარმოებაზე გაცემულია N45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს N2-689 ბრძანებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N2-803 ბრძანებით შპს „ნიკა 2004“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯიხ“, ხოლო მინისტრის 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯიხზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კვლავ შპს „ნიკა 2004“-ს გადაეცა. ამასთან, შპს „ნიკა-2004“-მა შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ სახელით (ს/ნ: 216302150). 2023 წლის 13 იანვარს, ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N12/ს).

2024 წლის 9 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084291 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფეროშენადნობების საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ (ს/კ 216302150) საკუთრებაში არსებულ, 12 206 მ²

ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.07.02.516), რომელიც უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაზაქენდი) დაშორებულია 110 მეტრით. საწარმოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული მარის არხი (65 მ.), ხოლო დასავლეთიდან რუსთავი-გარდაბნის საავტომობილო გზა (710 მ.). საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის საწარმოები, კერძოდ: შპს „ჯეოფერომეტალის“, შპს „ობ გრუპის“ და შპს „ჯეომეტალ ჯრუპის“ ფეროშენადნობების საწარმოები, შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიის“, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ და შპს „მაქს იმპორტის“ ცემენტის საწარმოები, შპს „ექსდი 22“-ის ბლოკის საწარმო და შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების ქარხანა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საქმიანობას წარმოადგენს მეტალურგიული წარმოება, რისთვისაც საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია **ფეროშენადნობების სამი ღუმელი ჯამური წარმადობით 47 ტ/დღე-ღამეში**, წელიწადში - **15 510 ტ** (აქედან N1, N2 ღუმელების დღიური წარმადობა შეადგენს 24 ტონას, წლიური 7920 ტ. და N3 ღუმელის დღიური წარმადობა 23 ტ, წლიური 7590 ტონა). აღნიშნული ღუმელების საშუალებით ხდება ფეროსილიკომანგანუმის წარმოება, რომლის ფუნქციონირებაზე საწარმოს გააჩნია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

არსებული მდგომარეობით, ფეროშენადნობების წარმოებაში წლის განმავლობაში გამოყენებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობა შემდეგია: მანგანუმი - 27683.7 ტ; კვარციტი - 6287.49 ტ; კოქსიტი - 7021.08 ტ; რკინა ან რკინის ხენჯი - 155.1 ტ; კირქვა ან დოლომიტი - 310.2 ტ.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსებისთვის მოწყობილია შემდეგი უბნები: საღუმელე უბნები; საკაზმე მასალების საწყობი; სანედლეულო მასალების მიწოდების ხაზი; დნობის პროდუქტების ჩამოსხმის უბნები; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი სისტემა; აირმტვერგაწმენდის უბნები; სატრანსფორმატორო ქვესადგური; აგლომერაციის უბანი; ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა.

სკოპინგის ანგარიშის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოში არსებული სამი ღუმელიდან, **N1 ღუმელის დემონტაჟი და მის ნაცვლად, ციცივი ღუმელის მოწყობა**, სადაც შესაძლებელი იქნება ალუმინოთერმიის მეთოდით - **ფეროქრომის, ფეროტიტანისა და ფეროვანადიუმის წარმოება**. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ცვლილება ასევე ითვალისწინებს ექსპლუატაციაში მყოფი ღუმელების წარმადობების შემცირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსაწყობი **N1 ღუმელის (ციცივი ღუმელი) წლიური წარმადობა იქნება: ფეროქრომი 2976 ტ/წ; ფეროვანადიუმი 400 ტ; ფეროტიტანი 2494 ტ; თანმდევი**

ალუმინუმეცვლი ფლუსი 10 296 ტონამდე. N2 ღუმელის წლიური წარმადობა შემცირდება 3960 ტ სილიკონმანგანუმიდან 2310 ტონამდე; N3 ღუმელის წლიური წარმადობა შემცირდება 7590 ტონა სილიკონმანგანუმიდან 4290 ტონამდე, ასევე შემცირდება აგლომერაციის ხაზის წლიური წარმადობა 44 550 ტონიდან 16 500 ტონამდე. გამომდინარე იქიდან, რომ N1 და N2 ღუმელები განლაგებული არის გვერდიგვერდ და ორივეს ემსახურება ერთი ასპირაციული და მტვერდამჭერი სისტემა, ღუმელები (N1 ან N2 ღუმელი) იმუშავებენ მონაცვლეობით. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დასაქმებული იქნება 160 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წლის განმავლობაში სილიკონმანგანუმის მისაღებად საჭირო ნედლეულის სახეობები და რაოდენობა შემდეგია: მანგანუმი 11 781 ტონამდე; კვარციტი - 2 676,3 ტონამდე; კოქსიტი - 2 984,85 ტონამდე რკინა ან რკინის ხენჯი 66 ტონამდე; კირქვა ან დოლომიტი 85,8 ტონიდან - 132 ტონამდე. ალუმინოთერმიის წარმოების ხაზში ფეროქრომის მისაღებად საჭირო ნედლეულია: ქრომის მადანი (კონცენტრატი) - 7 200 ტ; ალუმინის ფხვნილი - 1852,8 ტ; რკინის ხენჯი - 864 ტ; ნატრიუმის (კალიუმის) სელიტრა - 225,6 ტონამდე, დოლომიტის ფხვნილი - 960 ტ. ფეროვანადიუმის მისაღებად საჭირო ნედლეულია: ვანადიუმის კონცენტრატი - 1000 ტ; ალუმინის ფხვნილი - 140 ტ; რკინის ხენჯი - 200 ტ; რკინის ნათალი - 80 ტ; დოლომიტის ფხვნილი - 150 ტ; კირი - 780 ტ. ფეროტიტანის მისაღებად საჭირო ნედლეულია: ტიტანის მადანი (კონცენტრატი) - 9 504 ტ; ალუმინის ფხვნილი - 2376 ტ; რკინის ხენჯი - 1 425 ტ; კირი - 595 ტ; შპატი - 120 ტ. აგლომერაციის უბნისათვის საჭირო ნედლეულია: მტვერი - 1 4850 ტ; კოქსის ანაცერი - 496,3 ტ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ალუმინოთერმიის მეთოდით ფეროშენადნობების წარმოება წარიმართება შემდეგი ტექნოლოგიით: საწარმოში შესაბამისი ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ავტოთვითმცვლელებით და დასაწყობდება შენობის შიგნით. შემდეგ ტვირთი განთავსდება ნედლეულის ბაქანზე და მიეწოდება მკვებავ ბუნკერ-დოზატორებს. ბუნკერებიდან დოზირებული ნედლეული იყრება ლენტაზე და მიეწოდება შემრევს. შემრევი წარმოადგენს მბრუნავ დოლს, რომელშიც ხდება კაზმის გაშრობა. შერეული და გამშრალი კაზმი იყრება ბადიაში, საიდანაც ამწის საშუალებით მიეწოდება ციცხვ ღუმელს, სადაც წარიმართება დნობის პროცესები. შესაბამისი ნადნობის ჩამოსხმის შემდეგ ხდება ნადნობის თვით გაგრილება დაახლოებით 5 საათის განმავლობაში. საბოლოო გაცივების შემდეგ მიღებული ორივე მასა (ფეროშენადნობები და წიდა) წარმოადგენს პროდუქციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში აგლომერაციის უბანზე ასევე განთავსდება მტვრის ბრიკეტირების დანადგარი და აგლომერაციის 6 შეცხოვის თევში. ბრიკეტირების დანადგარში მოხდება საწარმოში მტვერდამჭერში დაჭერილი მტვრის (სილიკონმანგანუმის წარმოების და ალუმინოთერმიის პროცესებიდან) ბრიკეტირება. ბრიკეტის მიღების ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია: მტვერი უბანზე შემოიტანება აირგამწმენდი უბნებიდან და იყრება ბრიკეტირების დანადგარის ბუნკერში, სადაც ესხმება თხევადი შემკვრელი და ხდება არევა. ბუნკერში მიღებული მასალა მექანიკური დარტყმით იტკეპნება და მიიღება დაპრესილი ბრიკეტები,

რომელიც გადაიტანება შესაბამისი წარმოების ნედლეულის საცავში, რომელიც შემდგომ ემატება კაზმს.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან, კერძოდ: სადნობი ღუმელებიდან, ნედლეულის დასაწყობებისა და კაზმის მომზადების უბნებიდან, ნადნობის ჩამოსხმის უბნიდან, წიდის დასაწყობების ორმოდან და აგლომერაციის უბნიდან. წარმოდგენილი ინფორმაციით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფეროშენადნობების დნობის პროცესში წარმოქმნილი მტვრის ლოკალიზაციისა და გაწმენდისთვის საწარმოში დამონტაჟებულია 50 000 მ³/სთ სიმძლავრის აირგამწოვი, რომლითაც აირმტვერნარევი მიეწოდება ჯერ ციკლონს, შემდეგ მოხვდება სახელოებიან ფილტრში და გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში. საწარმოში ჯამში იქნება სამი გაფრქვევის მილი, კერძოდ: ფეროშენადნობების N1 და N2 ღუმელებს ექნება გაფრქვევის ერთიანი მილი, N3 ღუმელის და აგლომერაციის წარმოების ხაზზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საწარმოო მიზნებისათვის წყალს იღებს შეთანხმების საფუძველზე მარის არხიდან, რომელიც შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაშია. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში გაეგზავნა შპს „მტკვარი ენერჯის“. აგლომერაციის ხაზზე, ასევე ფეროშენადნობების ღუმელების კონსტრუქციებისა და ელექტრო ტრანსფორმატორის გაცეებისთვის გამოიყენება წყლის მბრუნავი ციკლი. ბრუნვითი სისტემებისთვის გამოიყენება წყლის 840 მ³ მოცულობის რეზერვუარი. ალუმინოთერმიის უბანზე წყალი საჭირო იქნება ცხელი ლითონის დასანამად, რის შემდეგაც ზედმეტი წყალი შეგროვდება ორმოში და გამოყენებული იქნება განმეორებით, იგივე პროცესისათვის. საწარმოს ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება ადგილობრივ საკანალიზაციო კოლექტორში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, მოსალოდნელი არ არის სახეობრივად განსხვავებული ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების მართვის საკითხები დაზუსტებული იქნება გზმ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 30 ივლისს, ქ. რუსთავის მერიისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“, შპს „სამნი+“-ის, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. ქ. რუსთავში, საჯარო განხილვის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა უწყვეტი თვითმონიტორინგის, წიდის მართვისა და საწარმოს წარმადობის საკითხებს. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილება აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით, მათი მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები/შენიშვნები ეხებოდა საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას, უსიამოვნო სუნის გავრცელებას და ღამის საათებში საწარმოს ფუნქციონირებას. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, განმარტებები გააკეთეს შპს „სამნი+“-ის და შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“** მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ);
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება;
 - საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების დეტალური აღწერა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ობიექტების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
 - არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საწარმოს განახლებული გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით, არსებული და საპროექტო დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობების/უბნების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;
 - არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზებიდან დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
 - ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების

ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობების მითითებით);

- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია - საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების შესახებ, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია პროექტით გათვალისწინებული ახალი ღუმელის შესახებ, სიმძლავრის, ტიპისა და წარმადობის მითითებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზების (თითოეული ღუმელის მითითებით) წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - საწარმოს ტექნოლოგიური სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი სახეობისა და რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ. ამასთან, მზა პროდუქციის განთავსების ადგილები/საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით - დაზუსტებული ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია (სხვადასხვა სახეობის) ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ. ამასთან, ნედლეულის საწყობები უნდა აისახოს გენ-გეგმაზე;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და დამზადებული პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ახალი

ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად.

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია ობიექტზე წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში, მათ შორის ღუმელისა და მისი დანადგარების გაგრილებისთვის წყლის გამოყენების შესახებ;
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია - საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის წიდის დროებითი დასაწყობების უბანზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- წარმოდგენილი ობიექტი მდებარეობს რუსთავის სამრეწველო ტერიტორიაზე, რომლის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე საწარმოები, როგორცაა შპს „ჯეოფერომეტალი“, შპს „ობ გრუპი“, შპს „ჯეომეტალ ჯრუპი“, შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, შპს „მაქს იმპორტი“, შპს „ექსდი 22“, შპს „ინდუსტრია კირი“ და ა.შ. მათ მიერ ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა კუმულაციური ზემოქმედება უახლოეს დასახლებებთან ქმნის მაღალ კონცენტრაციებს. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაბნევის ანგარიში. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, გამოყენებული უნდა იყოს ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა, ვინაიდან აღნიშნული პარამეტრები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს;
- „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის N413 დადგენილების შესაბამისად უწყვეტი მონიტორინგის საკითხი;
- საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში დადგენილი უნდა იყოს იდენტური სახის დამაბინძურებელი ნივთიერებებით გაფრქვევის სხვა საწარმოები;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (აღნიშნული მნიშვნელოვანია უახლოესი დასახლების მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით, მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის დასადგენად);
- დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემის (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით), აღნიშნული მოწყობილობების პარამეტრების დაცვისა და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის, მათ შორის ფილტრების დროული გამოცვლის, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
- ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;

- დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმაურის გაანგარიშება/მოდელირება, გამოყენებული მეთოდის/ფორმულის მითითებით. გაანგარიშების შედეგად გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ხმაურწარმომქმნელი ობიექტების ხმაურის დონეები, ასევე გარემო ფაქტორები, რაც მოქმედებს ხმაურის გავრცელების დონეებზე (ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰიფსომეტრიული და სხვა ბარიერები). გზშ-ის ანგარიშში ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია გაანგარიშების შედეგების - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში, ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ; (მაგ: ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- ინფორმაცია ვიზრაციით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე (დაბინძურების რისკები) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების შესახებ ინფორმაცია;

- ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, განხილული იქნეს ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- მნიშვნელოვანია, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია მოცემული იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს აირგამწოვი დანადგარის მოცულობა, რადგან 2023 წლის 13 იანვრის გზმ-ის მიხედვით „აირგამწმენდი მოწყობილობა ორივე ღუმელებისათვის გათვლილია 23000 მ³/სთ მოცულობის აირების გაწმენდაზე“, ხოლო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით მისი სიმძლავრეა 50 000 მ³/სთ.

- შპს „მტკვარი ენერჯის“ ცნობით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენტან“ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „მტკვარი ენერჯის“ საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია 60 მ³ მოცულობის სარეზერვუარო წყლის აუზი, რომელსაც იყენებს საწარმოო დანიშნულებით. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სარეზერვუარო წყლის აუზის მოცულობა შეადგენს 840 მ³. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას გზშ-ის ანგარიშში, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებას თან უნდა დაერთოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს „მტკვარი ენერჯისთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ „ალუმინოთერმის უბანზე წყალი საჭიროა ასევე ცხელი ლითონის დასანამად. დანამვის შემდეგ ზედმეტი წყალი შეგროვდება ორმოში და გამოყენებული იქნება განმეორებით, იგივე პროცესისათვის“. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ორმოს პარამეტრები და გამოყენებული წყლის მართვის საკითხები;
- პროექტში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ძირითადი ნედლეული შემოიტანება იმპორტით, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ტვირთი წარმოადგენს ნარჩენს თუ პირველად ნედლეულს. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კლასიფიცირებული იქნება როგორც ნარჩენი, გზშ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იყოს ნარჩენის კოდი, დასახელება და დამუშავების ოპერაციის კოდი. გზშ-ის წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია არსებული და საპროექტო ტექნოლოგიური ხაზებიდან წარმოქმნილი წიდის დაზუსტებული რაოდენობის, ნარჩენი წიდის დამუშავების ტექნოლოგიის, პროცესის და ნარჩენის დამუშავების ოპერაციის კოდის, ასევე ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ; მისი დროებითი დასაწყობების ადგილისა და დასაწყობების პირობების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია წიდის გასაცემელი ორმო(ებ)ის შესახებ (ტიპი, მოცულობა, მოწყობის ტექნიკური გადაწყვეტა). ასევე, უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების შედეგად მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ (მათ შორის ციცხვი ღუმელის ამონაგის); წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო საწარმო და მიმდებარე ტერიტორიები დაფარულია ტექნოგენური ნაყარით ან/და სამშენებლო ნარჩენებით. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ზემოაღნიშნული ნარჩენების კოდები, დასახელებები, რაოდენობები და მათი მართვის საკითხები ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის

N145 „ტექნიკური რეგლამენტი სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია აგლომერაციის უბანზე მტვრის ბრიკეტირების დანადგარის მოწყობა. გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მტვრის ბრიკეტირების დანადგარის წარმადობა და მისი მართვის საკითხები;
- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის (შესაბამისი დასაბუთებით) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს 2023 წლის 13 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N12/1) ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი;
- საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ცხრილის სახით);
- გზმ-ის ანგარიშში მკაფიოდ, ცხრილის ან/და ცალკე თავების სახით უნდა აისახოს გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული, არსებული და დაგეგმილი ცვლილებები, ერთმანეთთან შედარებით. მათ შორის, მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთთან შედარებული გზმ-ის ანგარიშით, არსებული მდგომარეობითა და საპროექტო ცვლილებებით გათვალისწინებული წლიური, დღიური და საათობრივი წარმადობები, ასევე გამოყენებული ნედლეულის რაოდენობების შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ, წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.